1885 — 1889

თეატრი

1889 წ. № 39 & 40. ნოემბრის 12.

გაზეთი ღირს: ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე ნომერი—15 კ.

ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მოწერილი სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

ქართული საკვირაო გაზეთი

„თეატრი“

მომავალ 1890 წლის იანვრის თვიდამ გაზ. «თეატრი» გამოვა ახალ თანამშრომლების მონაწილეობით. რედაქცია ყოველ-გვარ ღონისძიებას მოიხმარს, რომ თავისი გაზეთი გააუმჯობესოს, როგორც შინაგანის, აგრეთვე გარეგანის მხრით.

გაზ. «თეატრის» ფასი:

თელის წლით 5 მან.	თვიურად . . 1 მ.
ნახევარ წლით 3 »	თითო ნომერი. 15 კ.

ხელის-მოწერა მიიღება ამ ადრესით: Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 14 ნოემბერს

ბენეფისი

ჯ. ყიფიანისა.

ქართული თეატრის არტისტები წარმოადგენენ

ქარდინალი რიშელიე

დრამა 5 მოქმ. და 8 სურათად

თარგმ. ა. ცაგარლისა.

ცოლ-ქმრობის

წინააღმდეგ

ვოდევილი 1 მოქმედებად

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი და სხვ.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

სამეცნიერო საფუძველი

პროგრესის ისტორიისა.

(შემდეგი*)

II

ადამიანის ყოველს სურვილს და მოქმედებას, უეჭველად, მოთხოვნილება უძევს საფუძვლად. მაშასადამე, წარსული და

*) იხ. თეატრი № 34, 35 და 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწმყო ყოფა-ცხოვრება ადამიანების სხვა-და-სხვა გვარი მოთხოვნილების გამომხატველი უნდა იყოს. ადამიანის ზოგი ერთი მოთხოვნილება ცხოველებშიაც არის ხოლმე, რომელნიც უფრო მომეტებულად ინსტინკტიურად მოქმედებენ. ადამიანს კი ცნობაში მოჰყავს თავისი საკუთარი მოთხოვნილება, მოქმედება და ცხოვრება; იგი ანგარიშს აძლევს თავის მოთხოვნილებას და თავის ავ-კარგიანის ყოფა-ცხოვრებით, ზნითა და ჩვეულებით შექმნის კულტურას**), რომელსაც უმრავლესობა ალმერთებს და თაყვანსა სცემს. მაგრამ, ზოგიერთს უმაღლესი ხარისხის ცხოველსაც ზოგჯერ ცნობაში მოჰყავს თავისი სურვილი; მხოლოდ ცხოველის ცნობიერებას საზღვარი აქვს დადებული, მას არ შეუძლია ადამიანის გონებას კვალ-და-კვალ სდიოს წარმატებაში და ამ ნაირად თავისი ძალღონე და ნიჭი აწარმოოს. ადამიანი-კი სულ სხვა არის. მას შეუძლია უბრალო მოთხოვნილება და სურვილი განავითაროს, წარმატების ახალი გზა-კვალი და ცხოვრება შეამუშავოს და წინ ნაბიჯი წარსდგას უკეთესისა და სასურველის მომავალისაკენ. იგი განავითარებს და განიფაქიზებს ჭკუა-გონებას, ხასიათს, აზრებს, რწმენას და დადგება მართალისა და ჭეშმარიტის მოთხოვნილების ნიადაგზედ. ასეთი განვითარება შედეგია ცხოველს-მყოფელის კრიტიკისა და იმ რთული, და დაუსრულებელის ბრძოლისა, რომელიც გამოიწვია, ერთის მხრით, ბუნებასთან შეტაკებამ და, მეორეს მხრით, თვით კაცთა შორის აზტყდარმა ჭიდილმა და გაუსაცდელმა. ეს ორი უმთავ-

**) კულტურა ჰქვიან ხალხის ყოფა-ცხოვრების ყოველის მხრით გამოხატვას. სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება, ენა, ლიტერატურა, ადათი მიწა-წყალი, სახლ-კარი, იარაღი, და ავეჯეულობა, მოქმედება და სხვა-კულტურაა ხალხისა. ცივილიზაცია-კი გამოხატავს ხალხის გონებრივსა და საზოგადოებრივს მისწრაფებასა და მიზიდულებას. გონებითი და ზნეობითი განვითარება, ხასიათისა და რწმენის მიმართულება, იდეალისა და წარმატებისადმი მიზიდულება—ცივილიზაციაა ხალხისა. მაშასადამე, ამ ორს შემეცნებას, კულტურასა და ცივილიზაციას შორის, ისეთი განსხვავება არის, როგორც ფაქტსა და იმის შედეგს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესი ფაქტორი ცხოვრებისა გაჭირებაში აგდებდა ადამიანთა საზოგადოებას და გაჭირების სიმძიმე კიდევ ბრძოლისა და წარმატების გზას უჩვენებდა იმის ჭკუა-გონებას და აზრს...

ზევით იყო ნათქვამი, რომ ადამიანს, როგორც უტყვი ბუნება, ისე თავისი მსგავსი არსების ცხოვრება არტყია გარე-შემო; მან უნდა თვალი გაუსტეროს ცხოვრების იმ მრავალ-გვარ ამბებს, რომელნიც ურიცხვი ფერისა და რიგის ნიადაგს შეიცავენ. ბიოლოგიური, ფიზოლოგიური და სოციოლო-გიური ავ-კარგიანობის პირობანი ერთი-ერთმანერთს ემკლა-ვებიან და ამ ბრძოლის სიმძიმე და შინაარსი ყოველთვის, მუდამ დღე მოჰქმედებენ ადამიანზედ. ამიტომ, კაცმა რომ თავისი არსება დაიცვას, ან უნდა ზემო ნაჩვენებს პირობებს შეეთვისოს, ან ის პირობანი თავისი სურვილისა და რწმენის თანახმად უნდა შესცვალოს. უკვე შემუშავებულს ცხოვრე-ბასთან შეთვისება—ყოველთვის გამოხატავს ერთხელვე გა-კვლეულს გზაზედ დგომას, რომელიც ადამიანში სპობს წარ-მატებისადმი სურვილსა და მოქმედებას. მხოლოდ გარე-შე-მოერტყმული პირობების შეცვლისა და გადასხვაფერების სურ-ვილი ადამიანის გონებას აფხიზლებს, კრიტიკისა და მოქმე-დების სარბიელს აფართოვებ და მიეზიდება ნაყოფიერისა და კეთილშობილი გარჯა-მოღვაწეობისადმი.

ზოგიერთი მოთხოვნილებანი ადამიანში თავისთავად, ბუ-ნებითად ვითარდებიან, ზოგიერთს-კი ამუშავებს და აწარმოებს სხვა, მეორე ადამიანთან ყოფნა, სხვასთან აზრისა და გრძნო-ბის გაცვლა-გამოცვლა, საზოგადო ცხოვრება. ფიზიკურსა და ფიზიოლოგიურს მოთხოვნილებას, მაგალითად, ვერც ბავშვი ასცდება და ვერც ასაკში მოსული და დავაჟკაცებული ადა-მიანი. ეგეგე ითქმის ფსიხოლოგიურსა და საზოგადოებრივს მოთხოვნილების შესახებ, რომელნიც ყოველთვის შეურყე-ველსა და მტკიცე კანონებს ექვემდებარებიან. სულ ყველა ამნაირი მოთხოვნილება ადამიანს ბუნებისაგან აქვს მინიჭე-ბული და, მაშასადამე, ვერც კერძო პირი და ვერც საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება იმის გავლენასა და ზედ-მოქმედებას ვერას გზით ვერ ასცდება. პირ-იქით, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დაბალი ხარისხისა და „სულით გლახაკი“ ხალხი ყურ მოჭრილი მონა არის ბუნებრივად, სტიქიურად შემუშავებული მოთხოვნილებისა და ყოველისფერს ახალს მისწრაფებასა და აზრს სასტიკს წინააღმდეგობასა და პროტესტს უცხადებს. უკანასკნელი გარემოება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ საზოგადო ყოფა-ცხოვრება, შემუშავებული კულტურა ერთს წერტილზედ შედგეს და პირი უკან მიიბრუნოს და რეგრესის გზას დაადგეს.

მაგრამ ზოგჯერ არც საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებისა და შემუშავებული კულტურის ნიადაგის გარდასხვაფერება, გარდაცვლა მოასწავებს წარმატებას. ხშირად ასეთი მოვლენაც რეგრესის ნიშანია, „საზოგადოებრივი სხეული, როგორც სხეული ცალკე არსებისა, განიცდის შეუწყვეტელს სახის-ცვლილებას, სანამ იმის გარეშემოზღუდულს პირობებს არ შეუფერ-შეუთანახმდება; როდესაც ეს ბოლოს შემდეგ იგი იარსებებს სრულიად თავის აგებულების შეუცვლელად. როდესაც გარეშემორტყმულს პირობებში რაიმე ცვლილება მოხდება, მაშინ იგი გამოიწვევს რამოდენიმედ შესაფერს ცვლილებას საზოგადოებრივს ყოფა-ცხოვრებაშიაც. მაგრამ ეს ცვლილება აუცილებლად არ მოასწავებს პროგრესის გზაზედ ახალ ნაბიჯის გადადგმას. უფრო ხშირად ახალი, სახე შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრება უწინდელთან შედარებით არც მაღლა სდგას, არც დაბლა. მაგრამ, თუ ახალი ნიადაგი თხოულობს უფრო დაბალს ცხოვრებას, ვიდრე წინედ ყოფილი, მაშინ რამოდენიმედ ამის შედეგი იქნება რეგრესი.“*)

მაგრამ კაცთა საზოგადოება წინ ნაბიჯს ვერ წარსდგამდა, ვერც შემუშავდებოდა და კერძოდ ადამიანიც ვერ იცოცხლებდა, თუ რომ ბუნებას უხილავად არ ჩაენერგა კაცში ინსტინკტიური მიზიდულება და დაუცხრომელი სურვილი არსებობისა და წარმატებისა. ადამიანისათვის თვით ბუნებას მიუნი-

*) Основ. Соціологіи Гер. Спенсера. т. I ст. 107.

ჭებია ისეთი ძალა, რომელსაც მიჰყავს იგი წარმატებითი გარჯა-მოღვაწეობისა და განვითარებისადმი. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მადლიანი და კეთილი ძალა წარმატების სწორე გზას დაადგეს, საჭიროა, ერთის მხრით, თავისუფალი მოქმედება, ყოველგვარი იმისი შემბორკველი პირობების მოსპობა და განადგურება. მაგრამ ეგეთე ძალა მოქმედებს ადამიანის არსებაზედ და ეუბნება მას, რომ იგი, მეორეს მხრით, არც სხვას, მის მსგსავსად შექმნილს მეორე ადამიანსაც დაბრკოლებასა და წინააღმდეგობას არ უწეედეს და რაიმეში ენებას არ აძლევდეს. ცხოვრებას არ ასცდება განსაცდელი და უბედურება, თუ ეს ორი პირობა დაეწყებული და უარყოფილია, რადგანაც ადამიანი სხვისის ენებითა და ზარალით თავის საკუთარს თავსაც აზარალებს და ამით წარმატებას ხელს შეუშლის და შეაფერხებს*...)

ეს ორი ელემენტარული პირობა ის საფუძველია, რომლის საშუალებითაც უნდა გაცხოველდეს და შემუშავდეს ადამიანის ბუნების მიზიდულება დამოუკიდებლობისა, კეთილ-შობილური და კაცთ-მოყვარე გრძნობანი და მისწრაფებანი.

ხომლელი.

(შემდეგი იქნება)

ჟურნალ-გაზეთების მიმოსილვა.

რუსულ ჟურ. „Сѣв Вѣст.“ — ში იბეჭდება წერილი „Письма о Грузіи“, რომლის ავტორი იკვლევს ჩვენი წარსული ისტორიისა და ლიტერატურის ვითარებას. სრულიად ახალი და ნაყოფიერი აზრი ნაშრომისა უტყუარი გამომსატველია იმისი, რომ წერილე-

*) იხ. ჩემი სტატია გაზ. „ივერია“ №№ 56 და 57, 1886 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ავტორს შეგნებული აქვს თანა-მედროვე მეცნიერებაში შემუშავებული სოციოლოგური კანონები და ამ უკვე შეძენილის საგზლით იგი შესდგომია ისეთს მძიმე საგანს, როგორიც არის ჩვენი გაურკვეველი და ბურუსით მოცული განვლილი ცხოვრება. ავტორი კრიტიკით სულ-მძღვანელობს, სურს განცალკევებული ისტორიული მოვლენანი ქართველთა ცხოვრებისა სისტემაში მოიყვანოს და უჩვენოს იმისი კავშირი იმ ხალხების ცხოვრებასთან, რომელნიც მაშინდელს კულტურას სათავეში უდგნენ და რომელთა გავლენა და ზედ-მოქმედება ტონს და მიმართულებას აძლევდა მთელს აღმოსავლეთის დაწინაურებულ ერთა ყოფა-ცხოვრებას. და აი, სწორედ ამ დროს, როდესაც „Письма о Грузіи“—ს ავტორი ასეთის კეთილ-შობილურისა და უმაღლესის აზრით დასწავლებია თავის აღრჩეულს საგანს „იკვრიის“ მოწინავე წერილების ავტორი საშინელის უშვერის სიტყვებით ლანძღავს ნ. დ.—ს. იმის ლექსიკონიდგან ზედი-ზედ ამოდიან ისეთი ფრაზები, როგორც, მაგ, უწმიდური, ბულვარის აკადემიის მწევრი, ბალღი, და სხ. და სხ. „იკვრიის“ აზრით „Письма о Грузіи“ „თავიდამ ბოლომდე ერთი გაპტულებული“ და უშვერი ტუალეტია მარტო ძაგებისათვის შეთითხნილი, ჭირკეულობისა და ყოველად უაზრობისა და უვიცობისაგან და თავ-გასულ მამლა-ყინწობისაგან ურცხვად გატრაბახებული.“

მხოლოდ ასე, თუ ისე ცოტად „თავდაჭერილი“ მოწინავე წერილი „Письма о Грузіи“—ს შესახებ დაიბეჭდა „Новое Обоз.“ № 2022—ში, რომლის პასუხად ნ. დ. დაბეჭდა ამავ გაზეთის 2028 №—ში ფრიად საყურადღებო წერილი.

ნ. დ. ვერ უარყოფს „Новое Обозрѣніе“-ს მოწინავე წერილის აზრს, ვითომც იგი რუსთველს მხოლოდ იმით აყენებდეს დაბლა, რომ თავისი პოემის შინაარსი იმას სპარსელ მწერალთაგან უსესხებია. „წაიკითხეთ ჩემი წერილი „Сѣв. Вѣст.“-ში, ამ ობს ავტორი, და დარწმუნდებით, რომ მე არასად არ მითქვამს რუსთველისთვის საყვედური სიუჟეტის სესხებისათვის და მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ მისი თხზულება ვერ არის თავისებური, ორიგინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური და სრული როგორც, მაგალითად, შექსპირისა და გეტეს თხზულებანია».

შემდეგ ავტორი ეწინააღმდეგება „Новое Обозрѣніе“-ს მოწინააღმ ნერილის იმ აზრს, თითქო ჩვენთვის საჭირო არ იყოს საზოგადოდ ჩვენი წარსულის და კერძოდ რუსთაველის შესახებ გამოკვლევა. „გვარტომობის ინსტიტუტები კიდევ აქამდის უფრო ძლიერნი არიან კავკასიაში, ვიდრე უფრო თვრთო ინსტიტუტები-“ ო. ქართველებს «ვეფხის-ტყაოსანი» ქართული ისტორიული ეპოსი გონიათ, და მაშასადამე, ქართველ გვარტომობის ინდივიდუალობის გამომსატველი მაშინ, როდესაც ქართველი ტომი ჯერ კიდევ ბავშურ მდგომარეობაში იყო.“ ტეგელად ეძებს „Новое Обозрѣніе“-ს «გამოცდილი» პუბლიცისტი ქართველ გვარტომობის ინდივიდუალობას მისს ბავშობის დროს. ბავშობა სულისა, როგორც ტომისა, სანამ რთულ საზოგადოებრივ ორგანიზმად შეიქნებოდეს, შეიძლება ურიცხვ საუკუნოების განმავლობაში უცვლელი დარჩეს, მინამ ბოლოს რაიმე ძლიერი იმპულსი არ გამოიწვევს წარმატებისათვის იმ ძალას, რომელიც პოტენციალურად ბუნებით ჩანერგილია სულსში“.

მაგრამ თუ-კი, ავტორის აზრით, ჩვენს სულს აქამდის თავისთავად დიდი რამ არა გაუკეთებია-რა და ერთად ერთი ჩვენი წარსული დიდების ძეგლიც თავისის შინაარსით სხვა ნიადაგიდამ ეოთვილა ჩვენს ნიადაგზე გადმონერგილი და ისიც ურიგოთ, ამ გარემოების გამო მით მეტი შრომა და მეტი სწავლა გვმართებს, მით უფრო დასტუქსველი და შესაგინებელია ჩვენში წარსულით ტრაბახი და ის უგუნური რწმენა, რომ ამის შემდეგ მხოლოდ ჯდომა და ტკბილი ოცნება-ლა დაგვრჩენია და რაც გასაკეთებელი იყო, ის უკვე ჩვენმა წინაპრებმა გაკეთესო.

მაგრამ ვისაც, შეიძლება, თავისი წარსულის არარაობის შერცხვეს, ავტორი შემდეგ გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნება: „სულისთვის, რომელსაც ცუდმა გარემოებამ ნება არ მისცა, ფესი ჩაედგა მდელვარე კავკასიის განვითარების რთულ ტრიალში, არც სამწუხარო და არც სასიცილო რამეა ან. ეველა ბავშვები ვიუკვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჭაბუკები ვიყავით და გუშინ თუ შეგირდულ რვეულებს ვკლაბნიდით, ხვალ, შეგვიძლია, იმედი ვიქონიოთ, შექსპირებად ანუ გეტეებად, ტურგენევებად ანუ პუშკინებად გავხდეთ; ვინც ახალგაზდაა, იმას შეძლება და ნება აქვს უმაღლესს, იდეალს ელვტოდეს. დიალ, არც ახალგაზდობა, არც სიღარიბე არ არის სამარცხვინო; ძონძებში გამოხვეულებმა თამამათ წარსდგით წინ ნაბიჯები და გულში ატარეთ იმედი მოწიფულებისა და სიმდიდრისა და გექნებათ ერთიც და მეორეც.»

შემდეგ ავტორი მიუბრუნდება ისევ „Нов. Обоз.“-ს «გამოცდილს» პუბლიცისტს და უმტკიცებს, რომ ამ უკანასკნელის შეხედულება ისტორიაზე სხოლასტიურია; «ჩვენი «არხეოლოგიური» შეხედულებით, ამბობს ავტორი, შინაგანი აზრი ყოველ ახალგაზდა თუ ძველ ისტორიულ თუ არა ისტორიულ ხალხების ისტორიისა და არსებობისა შესდგება არსებობისათვის ბრძოლისა და იმ სულიერი ძალის მრავალ ნაირ განვითარების მიდრეკილებისაგან, რომელიც ბუნებით ჩანერგილია ადამიანში; და ისტორიას საგნად უნდა ჰქონდეს ამის ხურათის გამოხატვა, თუ ვინ რა გვარად დაიცვა თავი არსებობისათვის ბრძოლაში და ვინ სადამდის განავითარა ეს ძალი.... რაც უნდა მსუბუქი და დილეტანტური შეხედულება გვქონდეს ჩვენ საქართველოს ისტორიაზე, მადლობა ღმერთს, რომ იმისი დაუსაბამო არსებობის მიზეზის მისაგნებლად ფანტასტიური, განგებისაგან დანიშნული განაჩენი არ გვიძებნია..... და მაშინ, როდესაც თქვენ „Нов. Обозр“. „გამოცდილო“ პუბლიცისტო, კელსიევის ბედის შესახებ და სხვა ამ გვარ დღიურ დარდებზე ლირიკურ გრძნობებს ღვრიდით, ჩვენმა გულ-გრილობამ „ოანამედროე ცხოვრებისათვის“ და «არქეოლოგიის» სიყვარულმა აზიის ერთობ შორ კუთხეებში გადაგვკარგა, სადაც წიგნებით კი არა, ნამდვილად, ჩვენის თვალით ვნახეთ ბავშური მდგომარეობა იაკუტებისა, ტუნგუსებისა, ბურიატებისა და სხ. და ჩვენ დავინახეთ, რომ თუმცა იგინი ამ მდგომარეობაში ყვინთავენ ათი ათასი წლების განმავლობაში, მაგრამ მაინც ვერ აღზარდეს ვერც ერთი „გამოცდილი“ პუბლიცისტი... და წარმოიდგინეთ, რომ ამ არხე-

ოლოგიურმა მგზავრობამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ მხოლოდ ასეთ-ობით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, არამედ როგორც ისტორიას, ისე თანამედროე ცხოვრებას სხვა მეტი რამე უნდა მოეთხოვებოდეს...

ქართული თეატრი

(წარმოდგენა 7 ნოემბრისა: „ბაგრატ IV“, ისტორიული დრამა კ. მესხისა და „დაკრიალდა ჯარა“, ვოდევილი კ. ყიფიანისა.)

შინაარსი დრამისა ტრიალებს სამეფო გვარეულობის შეღლაზე, რომელმაც ამდენი ვნება მოუტანა ჩვენს საქართველოს. ახალგაზდა მეფეს ბაგრატ მეოთხეს წინა აღუდგება დედოფალი მარიამ, ლომელიც მოწადინებულია მეფე შეიშერას და თვით დაჯდეს იმერეთის ტახტზე. ამის წადილს ეხმარება ვახტანგი, რაჭის ერისთავი, ეხლანდელი საყვარელი და მომავალი-კი ქმარი დედოფლისა. ისინი დაიყოლიებენ თავის ნებაზე მრავალ დიდებულთ და იმათ შემწეობით მართლაც დაატყვევებენ მეფეს და თვალებსაც ამოსთხრიან მას. მაგრამ იმათი ბედნიერება დიდ ხანს არ გაგრძელდება. ბაგრატის ბარტია თავს მოიყრის და მეფის სიყვარულით აღგზნებული ძლევს თავის მოშორდაშორე ჯარს. ვახტანგი და მარიამ ამ დამარცხებას ვერ ითმენენ და ბიესის ბოლოს თავიანთ თავს იკლავენ.

დრამის ღირსებათ უნდა ჩაითვალოს მოქმედების სიცხოველე, მისი მსვლელობის ინტერესი. მთელს დრამაში ვერ გაიგონებთ ვერც ერთ სიტყვას, დედა აზრს რომ არ ემსახურებოდეს ასე თუ ისე, ვერც ერთ ფრაზას, მას გაშლას რომ არ ეხმარებოდეს. გარდა ამისა, ზოგიერთი ხასიათები თითქოს დასახულნიც არიან. ვახტანგი, მარიამი, ბაგრატი, ტუსაღი გიორგი—ყველანი სხვა-და-სხვა ხასიათის, სხვა-და-სხვა ზნის პირებს მოგვაგონებენ.. და მხოლოდ მოგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებენ, რადგან დამთავრება არც ერთს მათგანს არ დაცლია; მათი ინდივიდუალური თვისება ნამეტან მკრთალად და გაურკვეველად ისტება.

რაც შეეხება თამაშს, დრამა კარგად იქმნა წარმოდგენილი. თითქმის ყველა მოთამაშენი თავიანთ როლებს რიგიანად ასრულებდენ, ზოგიერთი-კი კარგადაც. უმთავრესს მოქმედ პირებიდამ ბაგრატ—გუნია პირველ სცენებში ცოტათი უსერხული და თითქოს შემკრთალი თან-და-თან გათამამდა და მესამე მოქმედებაში სწორედ საუცხოოდ შეასრულა თავისი როლი, მხოლოდ კარგი იქნება, რომ თავს და ხელს ისე საშინლად არ ათრთოლებდეს, თორემ კაცს ეგონება ძაგძაგი ასტესიაო... სვიმონიძე ვასტანგის როლში მოსწრებულად თამაშობდა. ეს აქტიორი მეტად მოქნილა და სცენისათვის გალაზათიანებულა მას აქეთ, რაც ჩვენ იგი გვინახავს ქუთაისში. საუცხოო იყო იგი ნამეტურ უკანასკნელ მოქმედებაში თავის მოკვლის წამს. ეტეობა გაურკვეველად და მოუმზადებლად არ გამოდის სცენაზე და ამ მეცადინეობის მიზეზია გადაჭარბება, რომელიც სვიმონიძეს ხანდახან ემჩნევა, განსაკუთრებით ხმის ინტონაციაში: არას დროს არაა ცუდი, აქტიორი ბუნებრივის ხმით ლაპარაკობდეს.

სხვები, როგორც ვთქვით, ყველანი თავის ადგილზე იყვნენ, გარდა ერთისა, სასელდობ, ქ-ნი დიმელისა, რომელსაც ვერ გაგვიგია—რა მიზეზით უპოვია ადგილი ქართულს თეატრში. ან ხმა, ან მიმიკა, ან ენა, ან შესედულება—რაიმე მაინც უნდა უვარგოდეს კაცს ან ქალს, რომ იგი სცენაზედ გამოუშვან საზოგადოდ და ისეთ თვალზ როლში-კი განსაკუთრებით, როგორც ქეთევანისაა! ქეთევანი ასალ გაზდა ცოლია მეფე ბაგრატ მოთხისა და ნუ თუ იმერეთის მეფეები ისეთ უბადრუკს ყოველ მხრივ არსებას იყვანდენ ცოლათ, რომელიც წარმოგვიდგინა ქ-ნმა დიმელმა! იმედია ამ გვარ შეცდომას, რომელიც ვნებას აძლევს, როგორც თვით დრამას, ისე ტრუპპას, მის წარმომადგენელს, ადგილი არ ექნება შემდეგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდეკილში ანაშიძემ, გაბუნია-ტაგარლისამ და გედევანიშვილმა საზოგადოებას ჩვეულებრივ სიტილით გაძღეს, თუმცა, უნდა გვტუდეთ, ქ-ნი დიმელი ცოტა არ იყოს, აქაც კი შესძალდა მსიარულებას თავის უშნო მიხვრა-მოხვრით და ლაპარაკით.

თეატრზე საკმაოდ დაესწრო სალი და სასიამოვნოთ უნდა აღვიარეთ, რომ ისეთი ელემენტებიც-კი შეგნიშნეთ თბილისის მცხოვრებლებისა, რომელთაც ამოდენა სანი არც მოუსაზრებიათ ქართული სცენის არსებობა.



ასალი ამბები.

გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში ამ ყამად იბეჭდება და მალე იქნება დარიგებული გასასყიდად ჯიბით სატარებელი სრული „ვეფხვის-ტყაოსანი“. წიგნი იქნება პატარა ზომისა და წვრილის ასოებით აწყობილი. პატარა „ვეფხვის-ტყაოსანს“ ბეჭდავს გრ. ჩარკვიანის და რ. თანტხავას ქართული წიგნის მაღაზია. ფასი წიგნისა, შედარებით, ძალიერ იაფი იქნება.

—

კვირას 5 ნოემბერს პირველს კლასსიკურ გიმნაზიაში იყო წლიური აკტი, რომელზედაც გიმნაზიის დირექტორმა ლ. ლ. მარკოვმა წაიკითხა გიმნაზიის წლიური ანგარიშის მოკლე შინაარსი, ამ ანგარიშში სხვათა შორის მოყვანილია შემდეგი სტატისტიკა გიმნაზიის შეგირდებისა. წარსულ სასწავლო წლის დამლევს გიმნაზიაში ყოფილა სულ 694 შეგირდი, რომელთა შორის მართლმადიდებელნი სარწმუნოების—416 სომხებისა—159, კათოლიკებისა—48, ლიუტერანებისა—18, მაჰმადიანებისა—18, ებრაელებისა—14; სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენელნი ერთმანეთთან შედარებით ყოფილან: რუსი და პოლშელი—314, სომხები—159, ქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველები—135, ნემეტი—23, თათარი—18, ებრაელი—14, ფრანგუზი—6, და ბერძენი 5; სხვა-და-სხვა წოდებათაგან, თავადების, აზნაურების და ჩინოვნიკების შვილები შეადგენდენ 522, მოქალაქეების—138, სასულიერო წოდების—6, გლეხების—2..

—

ჩვენ მოგვდის საუკეთესო სხვა-და-სხვა ხელის-მოწერილთაგან, რომ გაზეთი არ მოგვდისო, თუმცა ჩვენ ყველას რიგიანად შეგზავნით ჩვენი გაზეთის №№-ებს. ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც გაზეთი არ მისდის, თავისი ადრესი დაწვლილებით გვაცნობოს.

—

გაზ. „იევრეიაში“ გკითხულობთ: „ჩვენ შევიტყეთ სარწმუნო წყაროდგან, რომ დრეზდენის წიგნების მბეჭდელს თეირმას ბიბლიონისას განუზრახავს დაბეჭდოს გერმანული თარგმანი „ვეფხვის ტყაოსანისა“, რომელიც გერმანულად არტურ ლეისტმა გადათარგმნა. „ბრისონს უნდა, რომ ბეჭდვა წიგნისა მოასწროს შობასთან-ლამდის“.

ცხოვრების მოედანი.

ბატარა ბიჭი ვიყავი, სიცილი ძლიერ მიყვარდა;
თმა შემითეთრდა, დავბერდი, გული მაინც არ გაქვავდა.
გულის ტკივილი ვის ესმის? ან რას გამოსთქვავს ენაი:
სიმართლეს კრიჭა შეუკრეს, ცრუმ წაიჭამა ლაგამი.

ეს ღმერთ-გამწყრალი „Сѣверный Вѣстникъ“—ის თანამშრომელი აღარ დადგა, არ იქნა, აღარ დაგვეხსნა! მოჰყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებო, ძველის უძველეს ხანიდამ და ქართველებს ძველი საფლავებიც კი გალაუთხარა; იმისმა ხელმა და ენამ თვით უკვდავი შოთა რუსთაველიც კი არ დაინდო. ყველაფერს და ყველაკას წუნი დასდო; არდაინდო არც ძველი და არც ახალი, არც დიდი და არც პატარა, არც ქალი და არც კაცი და ის უკვდავი შოთა რუსთაველი, რომლის ბადალი მთელს დუნიაზედაც კიარ გვეგულებოდა, ის ჩვენი წარსულ და აწმყო ცხოვრების ღმერთი, ისიც კი თითქმის სრულებით გააშავა. რაღათ უნდა გვიკვირდეს, მკითხველო, რომ, როგორც კანონიერი შედეგი ჩვენი ქართველობის ამგვარი გათახსირებისა, ჩვენის ყოვლად-ცნობილ წარსულის დიდების „ჩვარში გამოხვევისა“ და იმისის „უარ-ყოფისა“, დაიბადა ის საშინელი არეულ-დარეულობა და განხეთქილება, რომელსაც გვიხატავს „Новое Обозрѣніе“—ს პუბლიცისტი [1]).

დიალ, დიდი ხანია, რაც ომი ასტყდა, და, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი დედაბერი „იბერიის“ მამა-მთავარმა თავისი-დიაკვნებით [2]) ამ ექვს თვეში დიდი წირვა-ლოცვა და პარაკლისი გარდაიხადეს და დღესაც „იბერიიდამ“ გლოვის ზარის წკარა-წკური მოისმის. სჩანს, ღონე მიხრწნილი დედაბერი „იბერია“ ვერა გახდა-რა წინაშე ზემოხსენებულ რეგვენისა, თორემ, მოგეცათ ღვთის წყალობა, მძინარე დიაკვნები მარდად წამოხტებოდენ და გამარჯვების ზარის ხმას მალე გაგვაგონებდენ. თვით მამა-მთავარი ჯერ ისევ, როგორც ეტყობა, სამეცნიერო წიგნებში ღრმად გართულა, რადგანაც, ღვთის წყალობით, მხოლოდ სიბერეში მოეცა შემთხვევა და გაჭი-

[1]). იხილე. „Новое Обозреніе“ № 2022.

[2]). სანო და კამპანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება შეისწავლოს ის, რაც სიყმაწვილეში ვერ შეიგნო; კიდევაც ბარაქალა იმის მხნეობასა და გამრჯელობას!

ამასობაში „Сѣверный Вѣстникъ“—ის თანამშრომელს თავისებურად წამოუარა:

„ობოზრენიეს“ პუბლიცისტმა, ტუიბულით ნასშირიანმა
და თვით ტრაბასა უებრომ, რადგ ჩხავანა-ხმიანმა“,

რომელიც ამ დღეებში გამოვარდა, თითქოს „ივერიის“ სამარცხვინოდ და თავისებურად გაჰკივლა:

„მე ვარ, რაცა ვარ მწერალი, მწერალთა საბალნაროსა,
მინდოდეს სვალვე დავჯდები სენატის მაღლა თაროსა“.

სთქვა ესა და გაათავა: საფანელი შემოაკლდა;
წიგნსა [1]) ხელი წამოავლო, უვიცობა წამორომა;
არ გაწითლდა, არც დაჩუმდა, ან არა და რისა შერცხვეს?
ვინიცობა გამტეუნებ—ტლინგსა ჰურის და გიგიუინებს!

სწორედ მოგახსენოთ, საშინელ დროს შეეესწარით: დიდი და პატარა, გამოცდილი და გამოუცდელი დღეს აღარ მიგვაჩნია! თურმე ნუ იტყვით, ის „Сѣв. Вѣст“.—ის თანამშრომელი ვიღაც ბალღი ყოფილა და დახე იმის შეუპოვროობას, რომ მამა.მთავარს და სახელი-განთქმულ ტყიბულით-ნახშირიანს მკლავ და მკლავ გაეხმალა! აი გახსოვდეთ, თუ ამდენს მელნის ღვრას სისხლის ღვრაც თან არ მოჰყვეს: ვგრძნობ ამას, პატივ ცემულო „თეატრის„ რედაქტორო, და ამიტომ, უმორჩილესად გთხოვ, ამ ჭირად ატეხილ დავიდარაბაში თქვენს პაწაწკინა ჟურნალს ნუ გარევთ, თორემ ხომ იცით:

აქლემები ეაიჩხუბენ, კოზაკს ფესი მოსტეხესო.

---

[1]). ფრანსუა. ვიკტორ ჰიუგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი ჩემის მხრით პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ყოვლისფერ ლონისძიებას მოვიხმარ, ეს უცბად გამოტყვრენილი განსაცდელი ავიცილოთ და აგები როგორმე ჩავაჩუმოთ ეს ქართველების სამარცხვინოთ ღვთისა და რისხვისაგან გაჩენილი „Сѣв. Вѣс.“ თანამშრომელი-აი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე იმას ჩავაჩუმებდი...

ს. სალმასტელი.

ჭასუხი

სთქვი, რაცა გქონდეს სათქმელი,
გაჭვე გულს ერუს და ცბიერსა,
მით მაინც ვერას დააკლებ,
რწმუნების ძალსა ძლიერსა.

მე გმირს მოველი, გმირს უკვდავს
მლიერს და მეუფოვარსა,
რომ უწინამძღვროს უშიშრად
გზა-კვალ დაქსაქსულ ცსოვარსა.

და მრწამს აღსდგება კიდევაც,
შელასავს კლდე-ღრეს გმირობით,
ერს გზას გაუკვლევს წინ-სავალს
და შინ მიიყვანს მშვიდობით:

იქ, სადაც ტანჯულ გმობილი
ულელს მოიხსნის მტრისასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს ააკვავებს სიმართლე
მმა სისხლს არ დალევს მმისასა,

სადაც ეურს აღარ მოესმის
ტანჯვა და კვნესა კაცისა
და ნაცვლად ბნელის იმეფებს
მუდმი მზე, შვენება ცისა.

ს. ნასარიძე.

რედ.-გამომცემელი ა. ნებიერიძე

სტრეა

ეზიგელ ბარონ ვეიანისა

ლ.-მეფლიქოვის ქუჩ., ზუბალოვის სახლებში
ილებს ყოველ ცვარ სასტუმრო საქმეებს.
საჯაროსუფთაო, რიგიანად ფასურებაზე
მესტუმრეს პირობას აძლევს საქმის მოგვარებ.

ქართულ ფიგნის მაღაზიაში
ლ.-მეფლიქოვის ქ. ზუბალოვის სახლებში
იყიდება
ყოველ ცვარი ქართული წიგნები.

Доз. ценз. 11 Ноября, 1889 г. Тифлисъ. Типографія Гр. Чарквіани